ბაკალავრიატის სტუდენტთა საყურადღებოდ!

იურიდიული ფაკულტეტის
სალექციო მეცადინეობების ცხრილი ფაკულტეტის ვებ. გვერდზე განთავსდება 6 სექტემბრის 17:00 საათზე. სალექციო ნაკადების არჩევას იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები შეძლებენ 11 სექტემბრის 17:00 საათიდან.

ბაზაში ყველა სალექციო დისციპლინა გაიხსნება ერთდროულად.

არც ერთი სტუდენტი არ დარჩება სავალდებულო საგანზე ან სასემინარო ჯგუფში რეგისტრაციის გარეშე.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ სტუდენტებისათვის აკადემიური რეგისტრაციების პროცესში დახმარების გაწევის მიზნით 11 სექტემბრის 16:00 საათიდან, ასევე 12 სექტემბერს 16:00 დან 18:00 საათამდე და 13 სექტემბერს 16:00 დან 18 საათამდე იურიდიულ ფაკულტეტზე (რესურსცენტრსა და იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში) იმუშავებს სტუდენტებისაგან შემდგარი მობილური ჯგუფი, რომელიც კონსულტაციებს გაგიწევთ ამ პროცესის წარმართვაში და საჭიროების შემთხვევაში დაგეხმარებათ საგნის არჩევაში.

გახსოვდეთ, რომ სასწავლო დისციპლინაზე რეგისტრაცია ბოლონიელ გლოსატორთა პრინციპით ხორციელდება **„ primo in tempore, potior in iure**“ (დროში პირველი, უფლებაში უპირატესი). სავალდებულო საგნებზე ადგილები დაემატება მოთხოვნის შესაბამისად. არც ერთი სტუდენტი არ დარჩება სავალდებულო საგანზე რეგისტრაციის გარეშე. თუკი ვერ დარეგისტრირდით რომელიმე სავალდებულო ან არჩევით დისციპლინაზე, გთხოვთ, მოგვწეროთ Lms.tsu.ge- დან. ამისათვის საგნის გასწვრივ მონიშნეთ ღილაკი „მოთხოვნები საგანზე“ და გამოაგზავნეთ განცხადება.

იურიდიული ფაკულტეტი ტრადიციულად მოგმართავთ თხოვნით გადაამოწმოთ ბაზაში თქვენი საკონტაქტო ინფორმაციის (უპირატესად ტელეფონის ნომრის) სისწორე, რათა შეძლოთ ფაკულტეტისგან მოწოდებული ინფომაციის დროული მიღება.

სტუდენტებს, რომელთაც სურთ ხელმეორედ დარეგისტრირდნენ დისციპლინაზე **ქულის გაუმჯობესების მიზნით,** აღნიშნულის შესახებ შეუძლიათ მოგვმართონ Lms.tsu.ge- დან მიმდინარე წლის **13 სექტემბრის** ჩათვლით. გთხოვთ, თქვენს ინდივიდუალურ ცხრილში დატოვოთ შესაბამისი ადგილი და განცხადებაში მიუთითოთ სასურველი პროფესორი. თქვენი განცხადებები დამუშავდება (14-15 სექტემბერს) და **დისციპლინა ინდივიდუალურ ცხრილში აისახება არაუგვიანეს 16 სექტემბრისა.**

დამატებით სემესტრთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოგვმართოთ lms.tsu.ge-ს შესაბამისი გრაფიდან (დამატებით სემესტრზე რეგისტრაცია). რადგან აკადემიური რეგისტრაციები იურიდიულ ფაკულტეტზე იწყება 11 სექტემბერს, სასურველია განცხადება დამატებით სემესტრთან დაკავშირებით დროულად შემოვიდეს ფაკულტეტზე, რათა ამ პროცესში შეუფერხებლად ჩაერთოთ. თუმცა, ფაკულტეტი დაამუშავებს ყველა განცხადებას, რომელიც შემოვა მიმდინარე წლის 15 სექტემბრის ჩათვლით და მათ, ვინც განაცხადს გააკეთებს მოგვიანებით (15 სექტემბრამდე) ასევე ექნება შესაძლებლობა ჩაერთოს ამ პროცესში.

შიდა მობილობით თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე გადმოსულ სტუდენთა საყურადღებოდ!

შიდა მობილობით თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე გადმოსული სტუდენტები ბრძანების გამოცემის შემდეგ შეძლებენ რეგისტრაციის პროცესში ჩართვას, აკადემიური რეგისტრაციის ვადებში.

გარე მობილობით გადმოსულ სტუდენტთა საყურადღებოდ!

საორიენტაციო შეხვედრა გარე მობილობით გადმოსულ სტუდენტებთან შედგება 2 სექტემბერს 12:00 საათზე, აუდიტორია 212 (ფდა). ამასთან ერთად, გაცნობებთ, რომ დღეს არსებული ინფორმაციით გარე მობილობის სტუდენტთა ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა 16 სექტემბერს (გარე მობილობით გადმოსვლის პროცედურა ითვალისწინებს ხარისხის განვითარების ცენტრის მხრიდან სიების გადამოწმებას). ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ ბრძანების გამოცემის შემდგომ. ამის შემდეგ ფაკულტეტს დასჭირდება გარკვეული დრო თითოეული სტუდენტის სასწავლო ბარათის შესაქმნელად. შესაბამისად გარე მობილობით გადმოსული სტუდენტები აკადემიურ რეგისტრაციას გაივლიან განსხვავებული რეჟიმით და ფაკულტეტი უზრუნველყოფს მათ ინფორმირებას ყველა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით საორიენტაციო შეხვედრებისა (საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი დაგეგმავს დამატებით საორიენტაციო შეხვედრას გარე მობილობის სტუდენტებთან მოგვიანებითაც) და ვებ. გვერდის მეშვეობით ინფორმაციის მიწოდების გზით. ასევე, ფაკულტეტი უზრუნველყოფს გარე მობილობით გადმოსულ სტუდენტთა დახმარებას აკადემიური რეგისტრაციების პროცესში.

განმარტება სასემინარო განრიგთან დაკავშირებით

როგორც მოგეხსენებათ, იურიდიული ფაკულტეტი ძირითადად გთავაზობთ სავალდებულო საგნებზე პროფესორის არჩევის შესაძლებლობას (სააუდიტორო რესურსის გათვალისწინებით). რადგან ფაკულტეტი უზრუნველყოფს ლექტორის არჩევითობას, ხშირ შემთხვევაში ამატებს ადგილებს მოთხოვნის არსებობისას, სასემინარო ცხრილის ზუსტი დაგეგმვა

სალექციო ცხრილთან ერთად შეუძლებელია. ამდენად, სასემინარო მეცადინეობის ცხრილი ფაკულტეტის ვებ. გვერდზე განთავსდება მას მერე, რაც სალექციო ნაკადები ძირითადად ფორმირდება. სემინარებთან დაკავშირებული ინფორმაცია დამატებით მოგეწოდებათ ვებ. გვერდისა და lms.tsu.ge-ს საინფორმაციო დაფის მეშვეობით. ამასთან, უცხო ენების ცენტრთან არსებული შეთანხმებით, დამთხვევების თავიდან ასაცილებლად, უცხო ენებზე რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება სემინარების არჩევის პარალელურად, შესაბამისად, უცხო ენათა ცენტრი, ასევე უზრუნველყოფს უცხო ენათა ცხრილების შეთავაზებას სასემინარო განრიგთან ერთად.

სხვა ფაკულტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ!

სხვა ფაკულტეტის სტუდენტები იურიდიული ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული საგნების არჩევას შეძლებენ 13 სექტემბერს 17:00 საათიდან.

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამიდან ჩარიცხულ სტუდენტთა საყურადღებოდ!

ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამიდან ჩარიცხულ სტუდენტებს ინფორმაციის მისაღებად, მათი ჩარიცხვის ბრძანებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ მიმართოთ იურიდიული ფაკულტეტის №127 ოთახს, უფროსი სპეციალისტი მაია მეტრეველი 595903343.

მაგისტრატურის სტუდენტთა საყურადღებოდ!

მაგისტრატურის ცხრილი იურიდიული ფაკულტეტის ვებ. გვერდზე განთავსდება 12 სექტემბერს 17:00 საათზე. აკადემიური რეგისტრაცია დისციპლინებზე მაღალსემესტრელ მაგისტრანტთათვის დაიწყება 16 სექტემბერს 17:00 საათზე, ხოლო პირველსემესტრელ მაგისტრანტთათვის 20 სექტემბერს 17:00 საათზე. კლინიკებზე რეგისტრაცია იწარმოებს დისციპლინებზე რეგისტრაციამდე. აღნიშნულის შესახებ დამატებით ინფორმაცია მოგეწოდებათ ფაკულტეტის ვებ.გვერდის მეშვეობით.

გისურვებთ სასურველი ინდივიდუალური ცხრილის შედგენას!